

“THE POEM TO UTTER” BY MIKHA KHELASHVILI AND ITS FOLKLORISTIC ROOTS

მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ და მისი ფოლკლორული ძირები

Khvtiso Mamisimedishvili

Doctor of Philology, Associated Professor of Ivane
Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, I. Chavchavadze Ave. 1, 0179, Georgia,
+995599214134, khvtiso.mamisimedishvili@tsu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-1038-324X>

Abstract. In the Soviet period, the stories about Mikha Khelashvili’s hectic life and his poems were spread by word of mouth. Mikha Khelashvili’s poetry was particularly popular among the mountain peoples due to some reasons. First, the poems the poet composed mainly with Pshavi dialect were close to folklore and folk motifs. The topics and motives Mikha Khelashvili wrote about were a subject of interest and concern for people. Another reason for his popularity was that Mikha Khelashvili remained in the memory of the people as a hero who fought for the freedom of his homeland. Mikha Khelashvili, a prominent fighter of Kakutsa Cholokashvili’s Band of Sworn Men, lived and died in such a way, which are often the topics of big tragedies in the works by genius writers. The killers hired by the Bolsheviks betrayed 25-year-old Mikha Khelashvili and killed him. The betrayal was especially appalling as the young poet’s closest friends were its accomplices.

Mikha Khelashvili’s poetic masterpiece "The poem to utter" has root parallels with one of the Chechen folk songs "The earth will dry upon my grave", which L. Tolstoy attributed to the number of "wonderful songs expressing revenge and strength". This old Chechen song was first included by I. Ipolitov in his publication "Ethnographic Essay of the Arghun District", published in 1868 in Tbilisi, in Russian "Collection of data about Caucasian mountains" (Сборник сведений о кавказских горах).

The report uses historical-comparative and structural methods to analyze the parallels between Mikha Khelashvili’s poem and the Chechen folk song.

Keywords: Mikha Khelashvili; Folklore; Chechen song.

ხვთისო მამისიმედიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,
+995599214134, khvtiso.mamisimedishvili@tsu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-1038-324X>

აბსტრაქტი. გადმოცემები მიხა ხელაშვილის ბოზოქარი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც მისი ლექსების ნაწილი, საბჭოთა პერიოდში ზეპირად ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ

პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ფშავლებმა და ხევსურებმა მიხა ხელაშვილის ლექსები სიმღერებად აქციეს და მათ ფანდურის თანხლებით რელიგიურ დღესასწაულებსა თუ უბრალო საოჯახო ტრაპეზებზე დიდი სიყვარულით ასრულებდნენ. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, რომ მისი ლექსები, რომლებსაც პოეტი ძირითადად ფშავურ დიალექტზე ქმნიდა, ახლოს იყო ფოლკლორთან და ხალხურ მოტივებთან. ის თემები, რაზეც მიხა ხელაშვილი წერდა, ხალხსაც აწუხებდა და იზიდავდა. მისი პოპულარობის მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ მიხა ხელაშვილი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი. მიხა ხელაშვილს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გამორჩეულ მებრძოლს, ისეთი ცხოვრება და სიკვდილი ერგო წილად, როგორც გენიოსი მწერლების შემოქმედებაში დიდი ტრაგედიების სიუჟეტებად იქცევიან ხოლმე. ბოლშევიკების მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა 25 წლის მიხა ხელაშვილს სიცოცხლე ღალატით მოუსწრაფეს. ღალატი განსაკუთრებით შემზარავი იყო, რადგან მასში ახალგაზრდა პოეტის უახლოესი მეგობრებიც მონაწილეობდნენ.

პოეტის სახელის აკრძალვის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის პოეზია ზეპირად თუ წერილობით მკითხველამდე და მსმენელამდე მაინც აღწევდა. ის იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი. მისი ლექსები პირველად 1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შედგენილ ხალხური პოეზიის კრებულში ავტორის ვინაობის მითითების გარეშე დაიბეჭდა. საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული გახდა მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“, რომელსაც ანსამბლ „ივერიის“ ცნობილი სოლისტი თემურ წიკლაური ასრულებდა როგორც ხალხურ ლექსს. ავტორის ვინაობის მითითება მიხა ხელაშვილის ლექსებზე პირველად ალექსი ოჩიაურმა გაბედა, რომელმაც 1970 წელს გამოსცა „ფშავ-ხევსურული პოეზია“. კრებულში შესული იყო მიხა ხელაშვილის რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ლექსო ამოგთქომ“.

მიხა ხელაშვილის პოეტურ შედეგს - „ლექსო ამოგთქომ“ - სიდრმისეული პარალელები დაეძებნება ერთ-ერთ ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასთან „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“, რომელიც ლ. ტოლსტოიმ „შურისძიებისა და სილადის გამომხატველ საოცარ სიმღერათა“ რიცხვს მიაკუთვნა. ეს ძველი ჩეჩნური სიმღერა პირველად შეიტანა ი. პ. იპოლიტოვმა თავის პუბლიკაციაში „არლუნის ოლქის ეთნოგრაფიული ნარკვევი“, რომელიც დაიბეჭდა 1868 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამომავალ კრებულში „კავკასიის მთიელთა შესახებ“ (Сборник сведений о кавказских горцах). ჩეჩნური ხალხური სიმღერის ყოველმხრივი ანალიზით ვლინდება მისი ტიპოლოგია მიხა ხელაშვილის პოეტურ ნაწარმოებთან „ლექსო ამოგთქომ“; ორივე ნაწარმოებში დასტურდება საერთო სტრუქტურული და იდეოლოგიური ხასიათის მოტივები.

საკვანძო სიტყვები: მიხა ხელაშვილი; ფოლკლორი; ჩეჩნური სიმღერა

შესავალი. მიხა ხელაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მისი კვლევა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში პოეტის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობიდან ბურუსით მოცულ არაერთ საკითხს მოეფინა ნათელი: გამოვლინდა მიხა ხელაშვილის სრულიად უცნობი ნაწარმოებები, გამოქვეყნდა ცალკეული მოგონებები, დაიბეჭდა პუბლიკაციები პოეტის შემოქმედების შესახებ, თუმცა საკვლევი და გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული და ფართო მასებისთვის სრულიად უცნობი იყო როგორც მისი შემოქმედება, ისე პოეტის ცხოვრება და საზოგადოებრივი მიღვაწეობა.

მიხა ხელაშვილი დაიბადა, აღიზარდა და მოღვაწეობდა ფშავში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ხალხური პოეტური ტრადიციები. შეუძლებელია, რომ მდიდარ ფშავურ ფოლკლორს გავლენა არ მოეხდინა პოეტის შემოქმედებაზე. მიხა ხელაშვილის პოეზიისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთმიმართება დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი. გარკვეულწილად მისი შემოქმედება ფოლკლორიდან არის ამოზრდილი. ხალხური ლირიკისა და „კაი ყმობის“ იდეოლოგიის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიხა ხელაშვილის პოეტურ ნაწარმოებზე „ლექსო ამოგთქომ“. მთიელი მოყმეები, მართალია, თავიანთ მიმიე, სახიფათო და განსაცდელით აღსავსე ცხოვრებაზე არასოდეს წუწუნებდნენ, მაგრამ უკიდურესი შეჭირვების ჟამს, საკუთარ სადარდებელს ფანდურზე ამღერებდნენ. ასეთი სიმღერების ერთ ნაწილს ხალხის ზეპირი ხსოვნა ინახავდა, ზოგიც სამუდამოდ იკარგებოდა. აღსანიშნავია, რომ ყოფა-ცხოვრების ერთნაირი წესისა და პირობებიდან გამომდინარე, ქართველმა და ჩრდილოეთკავკასიელმა მთიელებმა მსგავსი თემებითა და მოტივებით გაჯერებული ხალხური ლირიკა შექმნეს და „კაიყმობის“ საერთო იდეოლოგია ჩამოაყალიბეს. ჩეჩნურ ფოლკლორში დასტურდება დაღუპული ჭაბუკის სიმღერა, რომლის სამგლოვიარო პათოსსა და სულისკვეთებას სრულად ეხმიანება მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“.

ნაშრომის მიზანია მიხა ხელაშვილის პოეტური ნაწარმოების - „ლექსო ამოგთქომ“ - ფოლკლორული ძირების კვლევა; ქართველი მთიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ზნეობრივ ღირებულებებთან მისი კავშირის დადგენა; ხალხური პოეტური ტრადიციების როლის განსაზღვრა ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა-ჩამოყალიბებაში.

მეთოდები. მიხა ხელაშვილის პოეტური შედეგის ფოლკლორული ძირების შესასწავლად ლიტერატურათმცოდნეობასა და ფოლკლორისტიკაში ცნობილი მეთოდები გამოვიყენე. კვლევის შედეგებითა მეთოდმა საშუალება მომცა დამედგინა მიხა ხელაშვილის ლექსა და ჩეჩნურ ფოლკლორულ ტრადიციებს შორის შემოქმედებითი პროცესის ნათესაობა და საერთო ელემენტები. ისტორიულ-შედეგებითი მეთოდით ასევე გამოვლინდა საერთო მოტივები ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასა და მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომს“ შორის. კულტურულ-ისტორიული მეთოდი დამეხმარა „კაიყმობის“ ხალხური იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის გააზრებაში. საკითხი შესწავლილია ინტერდისციპლინურ კონტექსტში, რადგან კვლევის დროს გამოვიყენე მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების, კერძოდ, ეთნოლოგიის მონაცემები. ნაშრომში გათვალისწინებულია ადგილობრივი საზოგადოების ტრადიციული გარემო და ცხოვრების არქაული სტილი, სადაც პოეტი მოღვაწეობდა და ხალხური ნაწარმოებები იქმნებოდა.

ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნაწარმოებებს შორის მსგავსება-განსხვავებისა და ურთიერთმიმართების დასადგენად გამოყენებულია კვლევის როგორც კომპარატივისტული, ისე სტრუქტურული მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. 1868-1881 წლებში კავკასიის მთის სამმართველო ტფილისში რუსულ ენაზე გამოსცემდა კავკასიელი მთიელების შესახებ ცნობების პერიოდულ კრებულს (Сборник сведений о кавказских горцах), რომელშიც იბეჭდებოდა გამოკვლევები და მასალები კავკასიის მთის ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორული შემოქმედების შესახებ. ამ კრებულის პირველ ტომში ჩემი ყურადღება მიიპყრო ა. პ. იპოლიტოვის წერილმა „არღუნის ოლქის ეთნოგრაფიული ნარკვევი“, რომელშიც ავტორს ჩართული აქვს ჩეჩნური სიმღერის „როცა ჩემს საფლაგზე მიწა გაშრება“ - რუსული თარგმანი (Иполитов, 1868: 27). ა. იპოლიტოვის ცნობით, მას ჩეჩენი ბარდები ასრულებდნენ და მისი აზრით, სიმღერა - „როცა ჩემს საფლაგზე მიწა გაშრება“-

ჩეჩნურ ტრადიციულ საზოგადოებებში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. კვლევამ სულ მალე ამ ტექსტის ორიგინალთან, ჩეჩნურ ვერსიასთან მიმიყვანა, რომელიც ჩეჩენ ფოლკლორისტებს მოგვიანებით ჩაუწერიათ და 1959 წელს გროზნოში ჩეჩნურ ენაზე გამოცემულ კრებულ „ნოხჩინ ილემ, ეშარაში“ დაუბეჭდავთ. ჩეჩნური სიმღერის მოკლე შინაარსი ასეთია:

მამა დამივიწყებს, როცა ჩემი საფლავის ქვა მიწაზე დაეცემა.

დედა დამივიწყებს, როცა ჩემს საფლავზე ბალახი გაიზრდება.

დაც დამივიწყებს, როცა თავის სწორფერ ჭაბუკს შეხვდება.

ძმა არ დამივიწყებს, სანამ მიწა არ მიიღებს.

(Иполитов, 1868: 27)

ლ. ტოლსტოიმ ჩეჩნური ფოლკლორის ამ სევდიან ნიმუშს „მურისძიებისა და სილადის საოცრად გამომხატველი სიმღერა“ უწოდა. დიდმა მწერალმა სწორედ ეს სიმღერა შეიტანა თავისი შემოქმედების ერთ-ერთ შედეგში, მოთხრობაში „ჰაჯი-მურატი“. ჩეჩნური ტესტი, რომელიც ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატს“ განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს, გმირის განცდებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

„გაშრება მიწა ჩემს საფლავზე და შენც დამივიწყებ, მშობელო დედაც.

ჩემს სამარხზე ამოსული საფლავის ბალახი შენს მწუხარებას

დააყურებს,

ჩემო მოხუცო მამაც.

ჩემი დის თვალეზზეც ცრემლი გაშრება და ისიც გულიდან

მწუხარებას თანდათან გადაიყრის,

მაგრამ შენ ვერ დამივიწყებ, ჩემო უფროსო ძმაო,

სანამ ჩემს სისხლს არ აიღებ“ (Толстой, 1953: 16).

ამ სიმღერის გამოძახილი ასევე დასტურდება მე-20 საუკუნის ჩეჩენ და ინგუშ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც, ბუნებრივია, ვაინახების ფოლკლორული-ლიტერატურულ ტრადიციაში მის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მიუთითებს.

კვლევისას მოვიძიე ჩეჩნური სიმღერის სხვა ვარიანტები, რომლებიც შევუდარე მიხა ხელაშვილის ცნობილ ნაწარმოებს „ლექსო ამოგთქომ“. ჩეჩნურ სიმღერასა და მიხა ხელაშვილის ლექსს შორის ღრმა მსოფლმხედველობრივი პარალელები დასტურდება, რომელიც, პირველ რიგში, გამოწვეული უნდა იყოს ქართველი მთიელებისა და ვაინახების ცხოვრების მსგავსი სტილით, საერთო იდეოლოგიითა და „კაიყმობის“ საერთო კოდექსით; მეორეც, ცნობილია, რომ მთის ხალხებს შორის კულტურულ ფასეულობათა გაზიარება მუდმივ და უწყვეტ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა.

მიხა ხელაშვილის შესახებ პირველი მოგონებები დაიბეჭდა საზღვარგარეთ, 1981 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში, ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ (სულხანიშვილი, 1981: 27). ასე რომ საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის სახელი როგორღაც, ბეჭდური თუ ზეპირი გზით, პოეზიით დაინტერესებული საზოგადოების ერთი ნაწილის ყურამდე მაინც აღწევდა. ეროვნული მოძრაობის წლებში (1988-1991) მიხა ხელაშვილის სახელი და მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, ფშავ-ხევსურეთის საჯვარხატო დღესასწაულების გარდა, თბილისის ქუჩებშიც თამამად გაისმოდა.

ვ. ბერიძიაშვილის ცნობით, მიხა ხელაშვილის 260-მდე ლექსი გადაურჩა განადგურებას, რომლებიც მიხას მეგობარმა და ხალხური პოეზიის დიდმა მოამაგემ ვანო ხორნაულმა, თვით მიხას სურვილით, დიდი საფრთხის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში შეინახა, დაიცვა და გადაარჩინა. როგორც მიხა ხელაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი ვ. ბერიძიაშვილი აღნიშნავს, „რომ არა ვანო ხორნაული, მიხას ლექსების მხოლოდ ის მცირე ნაწილი შემორჩებოდა, რომელიც ხალხში ზეპირად იყო გავრცელებული“ (ხელაშვილი, 2013: 56).

მიხა ხელაშვილის შემოქმედებაში თავისი დრამატიზმით, ემოციური განწყობით, ხალხურ პოეზიასთან სიახლოვით განსაკუთრებით გამოირჩევა მისი შემოქმედების შედეგური „ლექსო ამოგთქომ“. ჩემი სტუდენტობის პერიოდში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მიხა ხელაშვილმა ეს ლექსი უძღვნა თავისი საყვარელი დედის ხსოვნას, რომელიც ბოლშევიკებმა დაუნდობლად მოკლეს. მიაჩნდათ, რომ სწორედ დედის მუხანათური მკვლელობით აღშფოთებულმა პოეტმა დაწერა ეს ცნობილი სტრიქონები:

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს უფალი, ყოველთვის გვაცოდვილებსა“.

(ხელაშვილი, 2013: 259).

ბოლშევიკებისგან მოკლული დედის ხსოვნას მიხა ხელაშვილმა გულშიჩამწვდომი სტრიქონები მართლაც უძღვნა, მაგრამ სხვა ლექსი და არა „ლექსო ამოგთქომ“. უდიდესი წუხილითა და უსამველო სევდით არის აღვსილი მიხა ხელაშვილის ლექსი „ავადმყოფ მოგკლეს დედაო“. პოეტი აღშფოთებულია მტრების სულმდაბლობით, რომლებმაც გაუგონარი სისასტიკით, მხეცურად მოკლეს უმწეო, საბრალო მოხუცი, რადგან მისი შვილი ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი იყო. მიხა ხელაშვილი საყვარელი დედის მკვლელობაში ფშავლებს ადანაშაულებს:

„ახლა აღარვის სცხვენია, აღარც ხათრი აქ ღვთისაო,
ჩემ საღალატოდ მაიბძვის ყმები ლაშარის ჯვრისაო,
დედაც მამიკლეს ბებერი, სამოცოთხმოცი წლისაო.
ავადმყოფ მოგკლეს, დედაო, შაიბრალდი აღარვისაო,
ფშავლები გბანენ სისხლითა ცრემლით დაბანილს პირსაო,
დაგკრავდნენ დაიკვნესებდი, და ინატრებდი შვილსაო,
მაგრამ მე ვეღარ გიშველე, როცა შენ გაგიჭირდაო.“

(ხელაშვილი, 2013: 362-363).

ზეპირი გადმოცემების მიხედვით, წითელრაზმელებს მიხა ხელაშვილის დედა ჯერ შეუპყრიათ და უწამებიათ, რათა შვილის ადგილსამყოფელი გაეთქვა. ბოლოს, როცა ვერაფერს გამხდარან, მოხუცი ჯერ მოუკლავთ და გაუძარცვავთ, შემდეგ კი, მიხას შურისძიება და რისხვა რომ აეცილებინათ, ფშავიდან გაქცეულან.

„ლექსო ამოგთქომ“ მიხა ხელაშვილმა შექმნა 1919 წელს, 19 წლის ასაკში, როცა საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქვეყანა იყო: ჯერ არც ბოლშევიკები ჩანდნენ და არც მიხა ხელაშვილის სიცოცხლეს ემუქრებოდა რაიმე საფრთხე. „ლექსო ამოგთქომ“ არაერთი მნიშვნელოვანი დეტალით იქცევს ყურადღებას. პირველი და უმთავრესი ეს არის ლექსის მხატვრული თავისებურება. მასში ვხვდებით მხატვრულ საშუალებათა მთელ სისტემას. ემოციურ ეფექტს ქმნის კონტრასტი: „ქვეყანა მხიარულობდეს და მე საფლავეში ვლპებოდე“. გვხვდება ფრაზეოლოგიზმები: „ვინ ჩამაბნევს ცრემლებსა“; „სხვისა ჭირს გააღხინებსა“; „სუ იმის გულში ვიქნები“. მიმართვები და რიტორიკული შეკითხვები, ერთი მხრივ, აწესრიგებენ ლექსის პოეტურ არქიტექტონიკას და, მეორე მხრივ, ლირიკული გმირის განცდებს უფრო ემოციურად და დინამიკურად წარმოსახავენ. მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ სწორედ განცდების დრამატიზმით გამოირჩევა, რომელიც ტექსტში საოცარი პოეტური ენერჯით არის რეალიზებული.

ლექსში გამოხატული განცდები სრულად შეესაბამება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებების მეომრულ სულისკვეთებასა და ხალხურ იდეოლოგიას, რომლის მიხედვით, ვაჟები მტერთან საბრძოლველად იბადებოდნენ და მამაკაცი მტერთან ბრძოლაში სახელის მოსაპოვებლად უნდა დაღუპულიყო. მიხა ხელაშვილის ლექსის ლირიკული გმირი, რომელიც თითქოს ვირტუალურ მომავალში უდროოდ იღუპება, ნატრობს, რომ მის სახელს დიდხანს იგონებდნენ, მისი ნათქვამი

ლექსები ქვეყნად ისმოდეს, მის საფლავს ყვავილნარი ამშვენებდეს, მისი ფუძე-კარი არ მოიშალოს და ცოლი არ გაუთხოვდეს:

„ჩემო სახელო, ამქვეყნად დიდხანსამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქომნო სიტყვანო, ნეტავი, გაჰქვეყნდებოდე,
და ჩემო საფლავის კარო, შენამც კი აჰყვავდებოდე,
გულო, დარდითა, წყეულო, ნეტავ, არ დაშავდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გასთხოვდებოდე!“

(ხელაშვილი, 2013: 259).

მიხა ხელაშვილის პოეზიის ეს ნამდვილი შედეგური იმითაც გახდა მნიშვნელოვანი, რომ მასში გამოხატული განცდები ლექსის ავტორისთვის წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მიხა ხელაშვილი, მართლაც, უდროოდ, უსამართლოდ, დალატით მოკლეს. პოეტის თხოვნა-ვედრება კი, რომელსაც იგი ამ ლექსში აყალიბებს, შეუსრულებელი დარჩა: დედა, რომელიც მას დაიტირებდა, ცოცხალი აღარ იყო, ხოლო მისი ცოლიც მალევე, როგორც ამბობენ, მიხას ერთ-ერთ სავარაუდო მკვლელს მისთხოვდა.

მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ სხვა მხრივაც არის საყურადღებო. მას სიღრმისეული პარალელები დაემებნება ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასთან „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“.

ორივე ლექსს საფუძვლად უდევს უდროოდ დაღუპული მოყმის მოტივი. ორივე ლექსი ლირიკული გმირის ვირტუალურ მომავალს და მოსალოდნელი დაღუპვით გამოწვეულ განცდებს ასახავს. ორივე ლექსში სათქმელი პირველ პირში არის განცხადებული, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უდროოდ დაღუპული გმირისადმი მსმენელისა თუ მკითხველის თანაგრძნობას. ორივე ლექსი გამოხატავს უსამართლო ტრაგიზმს ცხოვრების წარმავლობის გამო. ორივე ლექსში ლირიკული გმირი გამოხატავს უსაზღვრო წუხილსა და სევდას იმის გამო, რომ სიკვდილის შემდეგ, როცა მის საფლავზე „მიწა გაშრება“, ყველა ახლობელი და, მათ შორის, ოჯახის თითქმის ყველა წევრი დაივიწყებს. ჩეჩნური ხალხური სიმღერის მიხედვით, დაღუპულ ჭაბუკს სავარაუდოდ დაივიწყებენ დები, მოხუცი მამა, და თვით დედაც. მის ხსოვნას სათუთად მხოლოდ ძმა შეინახავს, სანამ მოკლული ძმის სისხლს არ აიღებს. ლირიკული გმირის ემოციებისა და განცდების ზუსტი პარალელიზმი, ორი ლექსის მსგავსი სტრუქტურა და იდეოლოგია, მათ საერთო ძირებზე მიგვანიშნებს.

ამ ორი ლექსის სტრუქტურული და იდეოლოგიური მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ქართველ მთიელთა ფოლკლორში გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჩეჩნური სიმღერის მსგავსი ხალხური ლექსი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია და, სავარაუდოდ, მიხა ხელაშვილის ლექსის შთაგონების წყარო უნდა გამხდარიყო, ანდა, შესაძლოა, მიხა ხელაშვილი იცნობდა კიდევ ჩეჩნურ ხალხურ სიმღერას „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა მიხა ხელაშვილი მოღვაწეობდა, XX საუკუნის დასაწყისში, ეს ჩეჩნური სიმღერა მხოლოდ ზეპირი სახით არსებობდა. წერილობით კი მხოლოდ მისი რუსული თარგმანი იყო დაბეჭდილი. ამ ორი პოეტური ნაწარმოების სიახლოვის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ჩეჩნური სიმღერა „კაი ყმის საფლავზე“ ერთგვარად ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ტრადიციულ შეხედულებას დედის შესახებ, რადგან, ხალხური იმაგინაციის მიხედვით, დედა არასოდეს, არანაირ სიტუაციაში არ ივიწყებს დაღუპულ შვილს. როგორც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ისე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორისგან განსხვავებით, არ დასტურდება დედის უარყოფითი სახე. დარგულ ბალადაში „მამაცი ბეკბულათი“ დედა მტრობს საკუთარ ვაჟიშვილს (დარგული ფოლკლორი, 1999: 21-24). რაც შეეხება ჩეჩნურ სიმღერას, მასში, მართალია, დედა არ არის უარყოფითი პერსონაჟი, მაგრამ მან შეიძლება დაივიწყოს თავისი გარდაცვლილი ვაჟი.

აქედან გამომდინარე, მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ შეიძლება გავიაზროთ როგორც ერთგვარი რეპლიკა ჩეჩნური სიმღერის მიმართ. დედის სახე, რომელიც წარმოდგენილია ჩეჩნურ დედანში, ეწინააღმდეგება ხალხურ ტრადიციულ მსოფლმხედველობას. თუ ჩეჩნურ სიმღერაში ის ადამიანი, რომელიც დაღუპულ მოყმეს არ დაივიწყებს, არის ძმა, მიხა ხელაშვილის ლექსში მის ადგილს დედა იკავებს:

„დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა.
თუმც ნათესავნი, და-ძმანი, აღარ აისხმენ ღილებსა,
ბოლოს კი დავავიწყდები, ყველას სხვა დაათირებსა.
ცოლიც ძალიან მიტირებს, ქვეყანას გააკვირებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა სხვისა ჭირს გაალხინებსა!
კიდევაც ვიტყვი, დედის გულს მე ვერვინ გამაცილებსა,
სუ იმის გულში ვიქნები, ძილსაც ვერ დაიძინებსა.
ვენაცვლე ძუძუთ გამზდელსა, გულით ის დამიტირებსა!“

(ხელაშვილი, 2013: 259)

ჩეჩნური სიმღერის სხვა ვარიანტში, ისევე როგორც მიხა ხელაშვილის ლექსში, ფიგურირებს ცოლი, რომელიც დაღუპულ მოყმეს დაივიწყებს მას შემდეგ, როცა მის საფლავზე მიწა გაშრება:

„მთის ქვეშ დამმალავს საფლავი.
და დამივიწყებს ცოლი, რომელსაც ვუყვარდი.
საფლავზე დაყრილ შავ მიწაზე
გაზაფხულის ბალახი აბიზინდება.
და მშობელი მამაც დამივიწყებს“

(Гребнев, 1960: 252).

უ. დალგათის ცნობით, ჩეჩნურ ხალხურ სიმღერაში ნახსენები დედა ცოლის მოტივით თვითნებურად ჩაანაცვლა ამ ტექსტის რუსულ ენაზე მთარგმნელმა ნ. გრებნიოვმა (Далгат, 2015: 598). როგორც ჩანს, მთარგმნელმა ჩათვალა, რომ ჩეჩნური სიმღერა კაი ყმის საფლავზე არღვევდა ერთ-ერთ ძირითად ფოლკლორულ კანონს, რომ დედა არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებდა დაღუპულ ვაჟს. ამ მხრივ მ. ხელაშვილის ლექსში არ გვხვდება ხალხური მსოფლმხედველობის საწინააღმდეგო შეხედულება. პოეტი აცხადებს, რომ სწორედ დედა არის ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც დაღუპულ ვაჟს არ დაივიწყებს.

მიხა ხელაშვილის ლექსში, ჩეჩნური სიმღერისგან განსხვავებით, მამა არ ხსენდება, რაც გამოწვეული უნდა იყოს ქართველ მთიელთა ტრადიციით, რომლის მიხედვით, დაღუპული ვაჟის მამას, როგორც მთავარ ჭირისუფალს, განსაკუთრებული თავშეკავება მართებდა. საზოგადოების წინაშე ტირილი და მწუხარება მისი მხრიდან ადამიანური სისუსტის გამოვლინებად ჩაითვლებოდა.

დასკვნა. მიხა ხელაშვილის ლექსისა და ჩეჩნური სიმღერის შედარებითი ანალიზი მკაფიოდ ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისა და მათი მეზობელი ვაინახების ტრადიციული მსოფლმხედველობის, ხალხური იდეოლოგიისა და ფოლკლორული მოტივების სიახლოვეს. მომავლის სავარაუდო პერსპექტივა, რომ გარდაცვალების შემდეგ გმირულად დაღუპულ ჭაბუკს დაივიწყებენ, ერთნაირად აწუხებს ჩეჩნური სიმღერის ლირიკულ გმირსაც და მიხა ხელაშვილსაც. ორივე ლექსს აერთიანებს განცდების დრამატიზმი. თუმცა ლირიკული გმირის წუხილი, რომელიც გამოხატულია ჩეჩნურ სიმღერაში, მიხა ხელაშვილის ლექსში მხატვრული სრულყოფილების მწვერვალს აღწევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დარგუული ფოლკლორი. (1999). (ფ. აბაქაროვა, შემდგენელი). თბილისი: „კავკასიური სახლის“ გამომცემლობა.
- სულხანიშვილი, ა. (1981). *მოგონებები შეფიცულთა რაზმზე*. სან-ფრანცისკო.
- ხელაშვილი, მ. (2013). *სიტყვა ლექსებად ნაქარგი*. დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. თბილისი.
- Гребнев, Н. (1960). *Песни безымянных певцов*. Махачкала.
- Далгат, У. Б. (2015). *Нартский эпос народов кавказа. избранные труды*. Грозный: изд. АО «ИПК Грозенский рабочий».
- Иполитов, И. П. (1868). Этнографические очерк Аргунского округа. Кававзские горцы. *Сборник сведений о кавказских горцах*. Выпуск I. Тифлиси: Изданые Кавказского горского управление. <https://kavkaznasledie.ru/?p=2930>
- Толстой, Л. Н. (1953). *Полное собранное сочиненые (юбилейное изданые)*. т. 35, Москва: изд. «Художественная литература».

REFERENCES:

- darguuli polk'lori [Dargwa folklore]*. (1999). (P. Abakarova, Compiler). Tbilisi: Publishing house of the “Caucasian House”.
- sulkhanishvili, a. (1981). *mogonebebi shepitsulta razmze [Memories about the sworn group]*. San Francisco.
- khelashvili, m. (2013). *sit'qva leksebad nakargi [A word said as a poem]*. The publication was printed with the blessing of his holiness Ilia II. Tbilisi.
- Grebnev, N. (1960). *Pesni bezymjannyh pevcov [Songs of the nameless singers]*. Makhachkala.
- Dalgat, U. B. (2015). *Nartskij jepos narodov kavkaza. izbrannye trudy [Nart sagas of the peoples of the Caucasus. Selected works.]*. Grozny: Publishing House AO «IPK Grozenskij rabochij».
- Ipolitov, I. P. (1868). *Jetnograficheskie ocherk Argunskogo okruga. Kavavzskie gorcy [Ethnographic extracts of the Arghun district. The Caucasian highlanders]*. *Sbornik svedenij o kavkazskih gorcah [Collection of information about the Caucasian Highlanders]*. I. Tiflis: The publishing house of the Caucasian Highlander Unit. <https://kavkaznasledie.ru/?p=2930>
- Tolstoj, L. N. (1953). *Polnoe sobrannoe sochinenye (jubilejnoe izdanye) [Full collection of works (Anniversary publication)]*. т. 35, Moscow: Publishing house “Literary arts”.